

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

დამტკიცებულია ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე, ოქმი #4, 20.11.2013 წ.

დეკანი, პროფესორი მარინე გიორგაძე

პრეამბულა: საზოგადოების პროგრესის უცილობელ პირობას განათლება წარმოადგენს. სწორედ განათლებული, თავისუფალი, კრიტიკულად მოაზროვნე და შემოქმედებითი უნარების მქონე ადამიანთა ერთობლიობა განაპირობებს, საბოლოო ჯამში, საზოგადოების კეთილდღეობას.

ერთგვარი პარადოქსია, რომ ათწლიანი რეფორმების შემდეგ, რაც ქვეყანაში განათლების სისტემაში განხორციელდა, კვლავ სისტემური ცვლილებების აუცილებლობაზეა საუბარი. რეფორმების საბოლოო მიზანი ქვეყანაში დასავლური სტანდარტების შესაბამისი განათლების სისტემის შექმნაა, შესაბამისად, ეს სისტემური ცვლილებები დასავლურ ღირებულებებს უნდა დაეფუძნოს - განათლების სივრცის დემოკრატიზაციას, რომლის უმთავრესი პრინციპებია: აკადემიური თავისუფლება, საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურობის უზრუნველყოფა და განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე განუხრელი ზრუნვა.

ამ თვალსაზრისით, იმედის მომცემი დოკუმენტია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „**დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა უნივერსიტეტების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების შესახებ**“, რომელიც განათლების სისტემის რეფორმის პლატფორმად უნდა იქცეს.

ამ დოკუმენტის თანახმად, „თითოეული პიროვნება წარმოადგენს ავტონომიურ ინდივიდს, რომელიც იმავდროულად თავისუფალი, დემოკრატიული სამყაროს სრულფასოვანი წევრია“. ხოლო „ქართულ აკადემიურ სივრცეში სათავე უნდა დაედოს უნივერსიტეტების მოწყობის ისეთ სისტემას, რომლის პირობებშიც შესაძლებელი იქნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და მათი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ავტონომიურობისა და აკადემიური თავისუფლების პრინციპების რეალურად განხორციელება“.

აკადემიური თავისუფლება არის იდეა, რომელიც, უპირველესად, კვლევის, სწავლებისა და სწავლის პროცესის თავისუფლებას გულისხმობს. სწორედ ამ იდეების შესაბამისად გვესახება ფაკულტეტის მომავალი განვითარება, ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ ამოცანად უახლოესი პერიოდის განმავლობაში მიგვაჩნია ფაკულტეტის მთელი ინტელექტუალური, აკადემიური თუ სამეცნიერო წრეების, სტუდენტების, ფაკულტეტის თითოეული წევრის ძალისხმევით წარმართვა იქეთკენ, რომ ამაღლდეს ჩვენი ფაკულტეტის რეიტინგი როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთაც და, რაც მთავარია, ამ ამოცანების განხორციელება გახდეს ჩვენი მომავალი წარატებული საქმიანობის საწინდარი.

მისია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიზნები და ამოცანები, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის ზოგადი მისიისაგან გამომდინარეობს, კერძოდ:

“ყველა დაინტერესებულ პირს ეროვნების, სარწმუნოების და პოლიტიკური ნიშნით კუთვნილების მიუხედავად შესთავაზოს მაღალი ხარისხის განათლება”.

გარდა ამ ზოგადი მისიისა, ვფიქრობთ, უმთავრესი, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ფაკულტეტის საქმიანობა, ჰუმანური იდეების დეკლარირება და ერთგულება: სწავლისა და კვლევის სფეროში არჩევანის თავისუფლება, ურთიერთთანამშრომლობისა და იდეათა თავისუფალი გაცვლის ატმოსფეროს შექმნა, თვითმმართველობის ფორმების დანერგვა და წახალისება. ეს ეხება როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს, ფაკულტეტის თითოეულ თანამშრომელს.

ფაკულტეტის მისიაა ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებთან დამკვიდრება, ჰუმანიტარული ცოდნისა და ინფორმაციის დაგროვება და გავრცელება; საზოგადოების ზნეობრივი და კულტურული განვითარების ხელშეწყობა, ინტელექტუალური ელიტის მომზადება; ცოდნის გენერირება და გადაცემა; სწავლებაში ინოვაციური მეთოდების დანერგვა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; მეცნიერული კვლევების განვითარება და შედეგების სასწავლო პროცესში ინტეგრაცია; სტუდენტისა და პროფესორის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა და საერთაშორისო აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის ჩამოყალიბება და განვითარება.

მხოლოდ ასეთ პირობებში შეძლებს უნივერსიტეტი და, შესაბამისად, ფაკულტეტი, თავისი უპირველესი მისიის განხორციელებას – “აღზარდოს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალ-კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება”(მისია).

ისტორია: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, დიდი პოტენციის მქონე ფაკულტეტია. იგი შეიქმნა 2005 წელს და მასში გაერთიანდა უნივერსიტეტის ტრადიციული, დიდი და წარმატებული ისტორიის მქონე ფაკულტეტები და მიმართულებები: ქართული ფილოლოგია, რუსული და დასავლეთევროპული ფილოლოგია, ისტორია, პედაგოგიკა-ფსიქოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი წლების განმავლობაში იცვლიდა სტრუქტურას, სახელწოდებას, შემადგენლობას. 2010 წლის ოქტომბერში, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელებული რეფორმების შედეგად, ჰუმანიტარული მიმართულებები შეუერთდა განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტს. კანონზომიერია, რომ 2013 წლიდან ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი კვლავ დამოუკიდებლად განაგრძობს არსებობს.

არსებული ვითარება: ძლიერი და სუსტი მხარეები:

ამჟამად ფაკულტეტი აერთიანებს შემდეგ ჰუმანიტარული მიმართულებებს, - ქართული ფილოლოგია; ისტორია, არქეოლოგია და ეთნოლოგია; უცხოური ენების ფილოლოგია (ევროპული, სლავური, თურქული); ფილოსოფია. ეს მიმართულებები გაერთიანებულია ხუთ დეპარტამენტში.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალით, ფაკულტეტზე არჩეულია 68 პროფესორ-მასწავლებელი (19 სრული პროფესორი, 32 ასოცირებული პროფესორი, 17 ასისტენტ პროფესორი).

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს სამივე საფეხურის, - ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა, –საგანმანათლებლო პროგრამებს.

სტრუქტურა: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, წლების მანძილზე არსებული ტრადიციის გათვალისწინებით, აერთიანებს ხუთ დეპარტამენტს:

- ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი;
- ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი;
- ევროპეისტიკის დეპარტამენტი;
- სლავისტიკის დეპარტამენტი;
- ფილოსოფიის დეპარტამენტი;

სამომავლოდ, ფაკულტეტის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე, არ არის გამორიცხული, არსებულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანაც.

რესურსცენტრები: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფუნქციონირებს წლების განმავლობაში, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნების საელჩოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის ბაზაზე შექმნილი ცენტრები და კაბინეტები – ამერიკანისტიკის ცენტრი, თურქოლოგიის ცენტრი, ანგლისტიკის, რომანისტიკისა და გერმანისტიკის, ასევე კლასიკური ფილოლოგიის, ბიზნტინოლოგიისა და ნეოგრეცისტიკის კაბინეტები. ეს სასწავლო კაბინეტები აღჭურვილი სპეციალიზებული ბიბლიოთეკებითა და თანამედროვე ტექნიკით, რაც დიდ დახმარებას უწევს როგორც სტუდენტებს, ასევე პროფესორ-მასწავლებლებს მათ საქმიანობაში. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამწუხაროდ, აღარ ფუნქციონირებს საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, რომელიც თავის დროზე, განათლების კანონისა და პროგრამული აკრედიტაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, შეიქმნა. ვფიქრობ, საფაკულტეტო რესურსცენტრის ფუნქციები, ამ შემთხვევაში, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილმა სასწავლო კაბინეტებმა და დეპარტამენტებმა უნდა იტვირთოს, განსაკუთრებით, იმ პირობებში, როცა ძირითადი სალექციო კურსებისა და რიდერების ელექტრონული ვერსიები, ანუ ელექტრონული რესურსები უკვე არსებობს.

დეპარტამენტების ფუნქციები ამკარად მოითხოვს დაზუსტებას, რაც უნდა აისახოს ფაკულტეტის დებულებაში და სხვა დოკუმენტებში.

უცილებელია, რომ დეპარტამენტი უფრო აქტიურად ჩაერთოს სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მომდინარეობაში. ასევე აუცილებელია, რომ დეპარტამენტებში მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო მუშაობის გაძლიერებას, მასში სტუდენტების, მაგისტრებისა და დოქტორანტების ჩაბმას. აქვე შევნიშნავთ, რომ სრულიად გარდასაქმნელია ტუტორთა (კურატორთა) ინსტიტუტი, მათი ფუნქციები დაზუსტებას, ხოლო საქმიანობა – გააქტიურებას მოითხოვს. ისინი უფრო აქტიურად უნდა ჩაერთონ სასწავლო პროცესში და გახდნენ ახალგაზრდების დამრიგებლები და გზის გამკვალავნი სწავლების სხვადასხვა ეტაპზე (ძირითადი და დამატებითი სპეციალობების არჩევა, არჩევითი კურსების რეგისტრაცია და სხვ).

მატერიალურ -ტექნიკური ბაზა:

ფაკულტეტს საგანმანათლებლო და კვლევითი პროგრამების შესაბამისი მინიმალური მატერიალური რესურსები აქვს; აუცილებელია მის გაუმჯობესებაზე ზრუნვა: პირველ ეტაპზე დიდი სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა მედიაპროექტორებით, სალექციო და სემინარული მუშაობისათვის აუცილებელი ინვენტარით, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით.

სწავლება და სწავლა:

სწავლება-სწავლის პროცესის განვითარების მიზნით აუცილებელია არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა; ფაკულტეტის ბაზაზე ახალი ჰუმანიტარული მიმართულებების/პროგრამების შექმნა; სასწავლო პროცესის ეფექტიანი მართვა; შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადება; მიმზიდველი სასწავლო გარემოს შექმნა, მატერიალური რესურსების გაუმჯობესება და ეფექტურად გამოყენება.

ბაკალავრიატი: ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი სტუდენტებს პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების საინტერესო არჩევანს სთავაზობს. პროგრამის დასრულების (240 კრედიტის დაგროვების) შემდეგ გათვალისწინებულია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭება, რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილი სპეციალობის მხედვეთ.

ძირითადი სპეციალობები (major):

- ქართული ფილოლოგია
- რუსული ფილოლოგია
- თურქული ფილოლოგია
- ინგლიური ფილოლოგია
- გერმანული ფილოლოგია
- ფრანგული ფილოლოგია
- ისტორია
- თურქეთისმცოდნეობა;
- ფილოსოფია;
- თარგმანმცოდნეობა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ტრადიციულად, ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის მიმართულებებს ეყრდნობა. ქართული ფილოლოგიისა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეტნოლოგიის დეპარტამენტები, ეს არის ის ბირთვი, რომლიდანაც, შეიძლება ითქვას, ამოიზარდა ეს ფაკულტეტი. როცა ვსაუბრობთ უნივერსიტეტის მისიაზე, როგორც ეროვნული სახელმწიფოს ძლიერების სათავეზე, მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და ჯანსაღი ეროვნული იდეალების მატარებელი ახალგაზრდა თაობის, ქვეყნის ღირსეული მომავლის აღზრდაზე, ამ მისიის განხორციელების საფუძველი სწორედ ეროვნული დისციპლინების – საქართველოს იტორია, ქართული ენა და ლიტერატურა, ქართული კულტურის ისტორია – სწავლების გაძლიერებაა უნივერსიტეტის მასშტაბით. ეს არის სფერო, სადაც ვერ დავეყრდნობით მხოლოდ ბაზრის მოთხოვნებს და პრაქტიკულ-გამოყენებით მიზნებს. ეროვნულ დისციპლინებსა და საგანმანათლებლო პროგრამებს სახელმწიფოებრივი ინტერესი

და ზრუნვა სჭირდება, ეს არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა, რაც აისახა საგანგებო სახელმწიფო პროგრამაში, რომელიც სწორედ მიმდინარე სასწავლო წლიდან ამოქმედდა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები სტუდენტს აძლევს ფართო განათლებას, სწავლების პირველი სემესტრი საფაკულტეტოა და, ძირითადად, საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო დისციპლინებს ეთმობა, რაც ხელს უწყობს, სტუდენტს ინტერდისციპლინური ხედვის გამომუშავებაში და იმაში, რომ სწავლების მეორე სემესტრიდან, ძირითადი სპეციალობის არჩევისას, მოტივირებული არჩევანი გააკეთოს.

საბაკალავრო პროგრამები ორიენტირებულია, სტუდენტს შესძინოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რაც მათ შრომის ბაზარზე წარმატებით დასაქმების პერსპექტივას აძლევს. პროგრამები, ძირითადად, ლოგიკურადაა შედგენილი, მაგრამ გარკვეული სახის კორექტირებები, ვფიქრობ, აუცილებელია. ყველა ასეთი საკითხი, ბუნებრივია, ფაკულტეტის კურიკულუმის კომიტეტის სხდომაზე იქნება განსახილველად გატანილი, რომელიც უახლოეს მომავალში შემოქმედდება და აქტიურად ამოქმედდება.

გამართლა ფაკულტეტის ფარგლებში დეპარტამენტშორისი პროგრამების არსებობამ, როგორც სამაგისტრო, ასევე სადოქტორო დონეზე. მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდება საბაკალავრო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა“, რომელიც სწორედ წარმატებული დეპარტამენტშორისი საქმიანობის შედეგია და, ვფიქრობთ, კონკურენტუნარიანი საგანმანათლებლო პროგრამა იქნება.

საბაკალავრო პროგრამების განვითარებისა და დახვეწის მიზნით, აუცილებელია, რომ დეპარტამენტებმა განიხილონ და დაგეგმოს ღონისძიებები საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში, კერძოდ, სპეციალობის არჩევითი ბლოკის ფარგლებში, ახალი კურსების შემოღების მიზნით. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ახალი საგნების მომზადებას, შესაბამისი სილაბუსების შედგენას. მიზანშეწონილია, სტუდენტებს შევთავაზოთ ისეთი სასწავლო კურსები, რაც მათი პროფესიული განვითარების თვალსაზრისით იქნება საინტერესო და იმ კომპეტენციების განვითარებას შეუწყობს ხელს, რაც საგანმანათლებლო პროგრამითაა გათვალისწინებული; შესაბამისობაშია ფაკულტეტის სტრატეგიულ გეგმასთან, უნივერსიტეტის მისიასთან. მაგალითისათვის, დავასახელებ „დემოკრატიისა და მოქალაქეობის“ კურსს, რომელიც აპრობირებულია და საინტერესო სალექციო მასალები და რიდერებია შექმნილი. ამ წამოწყების ინიციატორია ფილოსოფიის დეპარტამენტი. ვფიქრობ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში, მიზანშეწონილია, გადაიხედოს კრედიტების გადანაწილების დადგენილი წესი,

კერზოდ, გაიზარდოს ძირითადი მოდულის (Major) სავალდებულო და არჩევითი კურსების ხვედრითი წილი.

საგანმანათლებლო პროგრამების მეტი მოქნილობა, სპეციალობის არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდა უფრო თავისუფალსა და მრავალფეროვანს გახდის სტუდენტების არჩევანს, გაზრდის არჩევითობის ხვედრით წილს, რაც მხოლოდ მისასალმებელია.

ამგვარი მიდგომები სასარგებლოა მომავალი პროგრამული აკრედიტაციისთვის მზადების პროცესში, რომელიც, ვიქრობთ, თვისობრივად განსხვავებული იქნება და ფორმალური მხარის ნაცვლად, შინაარსობრივ მხარეზე და მახასიათებლებზე გააკეთებს ორიენტაციას.

აუცილებელია მთელ რიგ დისციპლინებში, უპირველეს ყოვლისა, უცხოური ენების პრაქტიკულ კურსებში გაიზარდოს საათების რაოდენობა, მასალის უკეთ ათვისების და შესაბამის კომპეტენციათა გამომუშავების მიზნით.

კურიკულუმის კომიტეტის განხილვის საგანი უნდა გახდეს ცალკეულ დისციპლინებში საათების ლოგიკური თანაფარდობა სალექციო და სასემინარო საათებს შორის, რაც გაზრდის იმ საგნების ღრმად შესწავლის ხარისხს, რომელიც აუცილებელია აღნიშნულ პროგრამაში.

დამატებით სპეციალობებთან მიმართებაში საგულისხმო სიახლეა, რომ იგეგმება დამოუკიდებელი მინორების შექმნა, მაგალითად, „თეოლოგიაში“, მუშაობა უკვე დაწყებულია. ეს იქნება ინტერდისციპლინური პროგრამა, რომლის შემუშავებაში ფაკულტეტის თითქმის რამდენიმე დეპარტამენტი მიიღებს მონაწილეობას. ბუნებრივია, იგულისხმება, რომ ეს (დასხვა მსგავსი) მინორ-პროგრამა დამოუკიდებლად გაივლის აკრედიტაციას.

აღსანიშნავია, რომ ყველა დეპარტამენტი მუშაობს ახალ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რაც ფაკულტეტს კიდევ უფრო კონკურენტუნარიანსა და მიმზიდველს გახდის მომავალი აბიტურიენტებისათვის. აღსანიშნავია ისიც, რომ რომ უკვე დამკვიდრდა დეპარტამენტში მორისი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა, მაგ., წარმატებით გაიარა აკრედიტაცია „თარგმანმცოდნეობის“ პროგრამამ, რომელიც სლავისტიკისა და ევროპეისტიკის დეპარტამენტების ბაზაზე შეიქმნა. იმედია, ეს პროგრამა წარმატებით ამოქმედდება მიმდინარე სასწავლო წლიდან.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი: ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამა ჟურნალისტიკაში, როგორც ძირითადი (major), ასევე (minor); აუცილებელია ამ პროგრამების შექმნა, რადგან ბაზარზე მოთხოვნა არსებობს, ამ

საკითხს ყოველწლიურად სვამენ აბიტურიენტები ღია კარის დრეების ფარგლებში შეხვედრებისას.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი: საბაკალავრო პროგრამა „კულტურის კვლევები“; არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა; რაც აბიტურიენტთა ინტერესს გამოიწვევს, უდავოდ.

საგანგებოდ მინდა შევჩერდე ევროპეისტიკის დეპარტამენტის ახალ საბაკალავრო პროგრამაზე, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებულია, შექმნილია სამუშაო ჯგუფი. ესაა ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა ინგლისურ ფილოლოგიაში, რომლის სწავლების ენა იქნება ინგლისური ენა. რამ გვიკარნახა ამგვარი პროგრამის შექმნის აუცილებლობა? უპირველეს ყოვლისა, სწავლების ინტერნაციონალიზაციამ: ბოლო წლებში ფაკულტეტზე მოგვიმრავლდა უცხოელი სტუდენტები, უცხოეთის მოქალაქეები (თურქეთი, საბერძნეთი, რუსეთი და სხვ.), რომლებიც ირიცხებიან ჩვენი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე და არ ფლობენ ქართულ ენას; ყოველწლიურად გვყავს სტუდენტთა გაცვლითი პროგრამით სტუდენტები ერთი ან ორი სემესტრით; უპირველეს ყოვლისა, მათი ინტერესის გათვალისწინებით შეიქმნება და ამოქმედდება ინგლისურენოვანი პროგრამა, რომელშიც, რა თქმა უნდა, კრედიტების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაეტმობა ქართული ენის ინტენსიურ შესწავლას. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული პროგრამა არ იქმნება მხოლოდ უცხოელი სტუდენტებისათვის, ეს იქნება პროგრამა პირველკურსელთა იმ საპილოტე ჯგუფისათვის, რომლებიც მაღალ დონეზე ფლობენ ინგლისურ ენას. აღვნიშნავთ, რომ მზაობა ამგვარ პროგრამაზე სწავლისათვის არის ფაკულტეტის სტუდენტებს შორის.

ვფიქრობთ, ჩვენი რეგიონის თავისებურებების გათვალისწინებით, აქტუალური და მნიშვნელოვანია ჩვენს უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების განვითარება, კერძოდ, თურქეთთან, ირანთან ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (ისტორია, ლინგვისტიკა, ლიტერატურის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია, ფოლკლორი და ა.შ.) საერთო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, ექსპედიციების და ა.შ. განხორციელება (ამ ქვეყნებში ისტორულად ქართული წარმოშობის მოსახლეობის არსებობის გათვალისწინებით), ასევე საგანმანათლებლო სფეროში თანამშრომლობა: გაცვლითი პროგრამები, ამ ქვეყნებიდან სტუდენტთა მოზიდვა ჩვენს უნივერსიტეტში, რაც სავსებით რეალურია.

შესაბამისად, ვფიქრობთ, უკვე მომწიფდა საკითხი აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტის შექმნისა, სადაც გაერთიანდება თურქული ფილოლოგიისა და თურქეთის ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამები. აღნიშნული პროგრამული მიმართულებები წლების მანძილზე წარმატებით ახორციელებს საბაკალავრო (ძირითად-major, დამატებით-minor) და სამაგისტრო პროგრამებს, რაზეც ამ პროგრამებზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმრავლეც მიგვანიშნებს. ისიც აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებას აქვს შესაბამისი რესურსცენტრი –

თურქოლოგის კაბინეტი, კავშირები თურქეთის უნივერსიტეტებთან, რაც თანამშრომლობის კარგ პერსპექტივებზე მეტყველებს (სტუდენტთა და პროფესორმასწავლებლებთა გაცვლა, საზაფხულო სკოლები და ა.შ.). თუ გავითვალისწინებთ მეზობელ სახელმწიფოსთან – თურქეთთან – არსებულ მრავლმხრივ, კეთილმეზობლურ ურთიერთობებს და ჩვენს უნივერსიტეტში თურქი ეროვნების სტუდენტთა მზარდ რაოდენობას, ამ დეპარტამენტს სამომავლოდ, უდავოდ, კარგი პერსპექტივები აქვს. ბუნებრივია, აღმოსავლეთმცოდნეობის დეპარტამენტი ვერ შემოიფარგლება მხოლოდ თურქოლოგიის განვითარებით. უნდა ვიზრუნოთ სხვა აღმოსავლური ენების სწავლების გაძლიერებაზეც, რისი შესაძლებლობაც არის. ამჟამად ჩვენს უნივერსიტეტში არაბული ენაც ისწავლება, პერიოდულად ისწავლებოდა - სპარსულიც. აღსანიშნავია საქართველოში ირანის საელჩოს დაინტერესებაც ჩვენი უნივერსიტეტითა და ფაკულტეტით, რაც არაერთხელ გამოუხატავთ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში თანამშრომლობის წინადადებით.

ვფიქრობთ, სამომავლოდ სტუდენტებს შევთავაზოთ ინოვაციური, ლიბერალური განათლების პრინციპების შესაბამისი ინტერდისციპლინური საბაკალავრო პროგრამა, რომლის ფარგლებში სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ, საკუთარი ინტერესების შესაბამისად, დააკომპლექტოს ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა და მოიპოვოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

მაგისტრატურა:

მაგისტრატურა სტუდენტს გარკვეული სპეციალობის მიხედვით ვიწრო სპეციალიზაციისა და სამეცნიერო კვლევისათვის ამზადებს. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ფაკულტეტზე მოხდა სამაგისტრო პროგრამების გადამუშავება და გამსხვილება, ვფიქრობთ, მაგისტრატურა უნდა აძლევდეს სტუდენტს მეტ საშუალებას ვიწრო სპეციალობის გაღრმავებით შესწავლის თვალსაზრისით, ინტერდისციპლინური სწავლება გამართლებულია პირველ სემესტრში, რის შემდეგაც მაგისტრანტს უნდა ჰქონდეს საშუალება ინდივიდუალური პროგრამით გააგრძელოს სწავლა. პროგრამის დასრულების (120 კრედიტი) შემდეგ გათვალისწინებულია ფილოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიის, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება შესაბამისი სპეციალიზაციით.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებია:

- ლინგვისტიკა (ზოგადი, გამოყენებითი და ქართველური ენათმეცნიერება; რუსული ფილოლოგია და კულტურათმშორისი კომუნიკაცია; თარგმანმცოდნეობა);
- ლიტერატურის თეორია და ქართული ლიტერატურატმცოდნეობა (ძველი, ახალი, უახლესი ქართული ლიტერატურა; ფოლკლორისტიკა);

- ევროპეისტიკა (ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; ტრანსლათოლოგია; ბრიტანული და ამერიკული ლიტერატურა);
- ისტორია (საქართველოს, ევროპა-ამერიკის, თურქეთის ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია-ანთროპოლოგია);

ამ ეტაპზე დეპარტამენტებში მიმდინარეობს მუშაობა ახალ სამაგისტრო პროგრამებზე (სოციოლოგია, ფილოსოფია და სხვ.). აქვე აღვნიშნავთ, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2010 წლამდე მოქმედებდა ფილოსოფიის დეპარტამენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სიცოცხლის ფილოსოფია“, რომელიც ყველა თანამედროვე მოთხოვნის შესაბამისად იყო შედგენილი, მათ შორის, საერთაშორისო ექსპერტიზაც ჰქონდა გავლილი. მიზანშეწონილად მიმაჩნია, აღნიშნული პროგრამის განახლება და ამოქმედება.

დოქტორანტურა:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს შემდეგი სადოქტორო პროგრამები:

- ლინგვისტიკა;
- ლიტერატურათმცოდნეობა;
- ისტორია;
- არქეოლოგია;

ამჟამად მუშავდება სადოქტორო პროგრამა ფილოსოფიაში. ამ პროგრამების არსებობას ფაკულტეტისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს: საშუალებას მოგვცემს სამომავლოდ სახელმწიფო დაფინანსება მოვიპოვოთ არა მარტო ქართული ფილოლოგიის, ისტორიის, არქეოლოგიისა, არამედ ფილოსოფიის სპეციალობებზეც. ყველა ეს შესაძლებლობა უნდა იქნას გამოყენებული.

ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამების კონკურენტუნარიანობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წელს მიღებამ კონკურსის პირობებში ჩაიარა, გაცილებით მეტი იყო მსურველთა რიცხვი პროგრამით გათვალისწინებულ ადგილებზე.

ფაკულტეტზე უკვე შექმნილია და ფუნქციონირებს სადისერტაციო საბჭო.

ახალი გამოწვევების წინაშე გვაყენებს სადისერტაციო საბჭოს დებულებით გათვალისწინებული სადოქტორო ნაშრომის საერთაშორისო ექსპერტიზის საკითხი, რაც ექსპერტთა ბაზის შექმნას გვაავალდებულებს. ამ მხრივ სერიოზული მუშაობის განხორციელება მოგვიწევს.

აღსანიშნავია, რომ წლების მანძილზე. 2008 წლიდან, ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები დაასრულა და დოქტორის აკადემიური ხარისხი მოიპოვა ათობით ჩვენმა კოლეგამ, რომლებიც წლების მანძილზე ეწეოდნენ პედაგოგიურ საქმიანობას რეგიონის უმაღლეს სასწავლებლებში. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურა მათთვის კვალიფიკაციის ამაღლების რეალურ საშუალებად იქცა. ფაქტიურად, ეს პროცესი ფაკულტეტის აკადემიური პოტენციალის გაძლიერებისთვის გადადგმული ნაბიჯი გახდა. უნდა აღინიშნოს, რომ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამებმა საშუალება მოგვცა, მთელი რიგ მიმართულებებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა აღმოგვეფხვრა და პრობლემები დაგვეძლია.

დოქტორანტთა მხატდაჭერის მიზნით, მომავალშიც ვაპირებთ დოქტორანტთა კონფერენციის, რესპუბლიკურის, შესაძლოა, საერთაშორისოს, ორგანიზებას, რომ მათ მივცეთ კვლევის შედეგების წარმოდგენის შესაძლებლობა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

უნივერსიტეტის მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, თანამედროვე უნივერსიტეტში განუყოფელია სწავლება და მეცნიერული კვლევა. ხოლო მათი წარმატებული სიმბიოზის შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ ძლიერ და თანამედროვე უნივერსიტეტზე. ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევების გაზრდას ხელს შეუწყობს სადოქტორო კვლევების განხორციელებას, რაც გულისხმობს მეცნიერული კვლევების პუბლიკაციას მაღალრეიტინგულ გამოცემებში.

ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ საგრანტო პროექტების განხორციელებაში, მომზადდა და ეროვნულ სამეცნიერო ცენტრში საკონკურსოდ გაიგზავნა რამდენიმე პროექტი, რომლებიც, იმედი გვაქვს, მოიპოვებენ დაფინანსებას.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები მონაწილეობენ საერთაშორისო სამეცნიერო პროექტების განხორციელებაშიც.

ფაკულტეტზე წლების მანძილზე ფუნქციონირებდა სამეცნიერო ცენტრები: სამხრეთდასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევისა და კულტურული ანთროპოლოგიის საერთაშორისო სამეცნიერო ცენტრი; აღნიშნული ცენტრები გაერთიანდა და ერთ სამეცნიერო ცენტრად ჩამოყალიბდა. ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა ქართველოლოგიის ინსტიტუტი, რომლის დაფინანსების მთავარი წყარო საგრანტო დაფინანსებაა, საჭიროდ მიგვაჩნია ზრუნვა დაფინანსების სხვა წყაროებზეც (კერძო სექტორი, სპონსორები, სახელმწიფო თუ არასამთავრობო ფონდები). სამწუხაროდ, სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო,

სამეცნიერო ცენტრების რეორგანიზაციის შედეგად, ქართველოლოგიის ინსტიტუტი გაუქმდა და ახლა, ფაქტიურად, თავიდან გვიხდება მისი დაფუძნება. არსებობს ინსტიტუტის დებულება, რომელიც უახლოეს სხდომაზე დამტკიცდება და ქართველოლოგიის ცენტრი ფაკულტეტის შემადგენლობაში განაგრძობს არსებობას.

ფაკულტეტზე არსებობს საერთაშორისო კონფერენციებისა და სიმპოზიუმების წარმატებულად ორგანიზების ტრადიცია (ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში-2009, ბიზანტინოლოგია საქართველოში-2 და -4, საერთაშორისო სიმპოზიუმი ლექსიკოგრაფიასი 1 და 2 და სხვ.), რაც მომავალშიც გაგრძელდება და ხელს შეუწყობს ფაკულტეტის პოპულარიზაციას.

საგამომცემლო პროექტები:

ფაკულტეტზე ხორციელდება სხვადასხვა საგამომცემლო პროექტი, გასულ წლებში გამოდიოდა სხვადასხვა დარგობრივი კრებული. ეს პროექტები მომავალშიც გაგრძელდება გაგრძელდება გამოცემები ცალკეული კრებულების, რომლებიც სამეურნეო ანგარიშით გამოიცემა (ისტორიის დეპარტამენტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი) და საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე ხორციელდება (მაგ., სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით).

დაწყებულია მუშაობა ფაკულტეტზე რეცენზირებადი ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალის შესაქმნელად, მიღწეულია შეთანხმება ექსპერტთა ნაწილთან. ამგვარი გამოცემა არა მარტო დაეხმარება პროფესორ-მასწავლებლებს კვლევის შედეგების პუბლიკაციასა და ინტერნაციონალიზაციაში, ასევე დოქტორანტებისთვის იქნება სტიმული კვლევების განვითარებისათვის.

ყოველმხრივ წახალისებული იქნება სხვადასხვა მომართულებაში სახელმწიფო-საზოგადოებრივი თარგმნა და ახალი, ორიგინალური სახელმწიფო-საზოგადოებრივი და სალექციო კურსების სექმნა და პუბლიკაცია.

სტუდენტთა მხარდაჭერა:

სტუდენტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული სწავლებისა და კვლევის პროცესების გაანალიზებაში, რაც ხელს შეუწყობს მათ ისე აღზრდას, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს კი ნიშნავს მათ სოციალურ, გონებრივ და ემოციურ განვითარებას. სტუდენტი არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ სწავლების ობიექტად, არამედ უნდა გამოიკვეთოს მისი, თანასწორი მონაწილეობა როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესებში.

როცა ვსაუბრობთ სტუდენტზე ორიენტირებულ უნივერსიტეტზე, მხედველობაში სტუდენტთა მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილება უნდა გვქონდეს. ჩვენი ფაკულტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა სტუდენტთა გასართობი, სპორტული და სხვა ღონისძიებების სიმრავლით. ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტები დღესაც აქტიურად მონაწილეობენ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. ფაკულტეტზე უფრო ინტელექტუალური პროექტების განხორციელებას ექცევა ყურადღება. ვფიქრობთ, მიმდინარე წელსაც განვაახლოთ კინოკლუბის მუშაობა, სადაც ახალგაზრდები მსჯელობის, კამათის, კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევებს იძენენ და ავითარებენ. აღნიშნული კინოკლუბი ტრადიციულად დიდი წარმატებით სარგებლობდა ჩვენი (და რა მარტო ჩვენი) ფაკულტეტის სტუდენტებში.

სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით, სწავლების ინტერნაციონალიზაციის განვითარებისათვის, „საერთაშორისო განათლების ცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით, სისტემატურად ეწყობოდა და მოეწყობა გაცვლითი პროგრამებისა და საერთაშორისო პროექტების გაცნობა (ევროპული განათლების დღე, ამერიკული განათლების დღე, შემოქმედებითი წერის კონკურსები და ა.შ.).

რადგან საუბარი შეეხო სტუდენტურ თვითმმართველობას და სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებას, აქვე აღვნიშნავთ, რომ აუცილებლად ასამოქმედებელია საკარიერო ოფისი (როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო), რომელიც არა მარტო კურსდამთავრებულთა დასაქმების, არამედ ბაზრის მოთხოვნებსა და ტენდენციებს, ანუ მომავალი დასაქმების პერსპექტივებსაც შეისწავლის. ეს კვლევები გამოავლენს არა მარტო ჩვენს რეიტინგს, არამედ დაგვეხმარება სამომავლოდ კურსდამთავრებულთა დასაქმების პრობლემების გადაწყვეტასა და, საერთოდ, ჩვენი მუშაობის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში.

საზაფხულო სკოლები:

ჩვენი უნივერსიტეტის პოტენციური შესაძლებლობების, ასევე მისი გამორჩეული ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, პერსპექტიულია ფაკულტეტზე საზაფხულო სკოლების პროექტების განხორციელება, რაც უკავშირდება ტრიმესტრული სწავლების პრინციპის დანერგვას. ამ მიმართულებით უკვე გვაქვს გარკვეული შედეგები და სამომავლო გეგმები: კერძოდ, წარმატებით მუშაობს ქართველოლოგიის საზაფხულო სკოლა (გერმანიის მხარესთან ერთად), რომლის მუშაობაში აქტიურად არიან ჩართულნი ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მაგისტრანტები, დოქტორანტები.

რამდენიმე წელია წარმატებით მუშაობს დოქტორანტთა საზაფხულო სემინარი „დაად“-ის ფონდთან თანამშრომლობით.

სამომავლოდ დაგეგმილი გვაქვს საზაფხულო სკოლის პროექტის განხორციელება თარგმანმცოდნეობისა და სხვა მიმართულებით.

ძლიერი და სუსტი მხარეები:

ყოველივე ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ, შეიძლება, აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ფაკულტეტის საქმიანობის

ძლიერი მხარეებია:

- სტუდენტთა სტაბილური რაოდენობა;
- აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნება;
- გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობები;
- დამსაქმებელთა ინტერესი;
- სამეცნიერო პოტენციალი, წარმატებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა;
- მაღალი კომპეტენციის მქონე სამეცნიერო-პედაგოგიური კადრები.

სუსტი მხარეები და საფრთხეებია:

- ფინანსური რესურსების სიმცირე;
- გაუმართავი ინფრასტრუქტურა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეუსაბამობა თანამედროვე მოთხოვნებთან.

ძლიერი მხარეების განვითარების, ხოლო სუსტი მხარეების აღმოფხვრის მიზნით, 2013-2017 წლებში დასახული გვაქვს შემდეგი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები:

- ქართული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, დემოკრატიისა და ჰუმანიზმის იდეალებზე ორიენტირება; მაღალი ხარისხის უმაღლესი განათლების შეთავაზება დაინტერესებული პირებისათვის;
- სწავლებისა და კვლევების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება;
- ქვეყნისა და რეგიონის ინტელექტუალური პოტენციალის განვითარება;

- პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება;
- პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება;
- თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე პირების მომზადება, შიდა და საგარეო შრომის ბაზარზე უმაღლესი განათლების მქონე პირთა კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა,
- კვლევითი პოტენციალის განვითარება;
- სწავლებისა და კვლევების ინტერნაციონალიზაცია, ინტეგრაცია ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო
- სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა;
- პერსონალის პროფესიული განვითარებაზე ზრუნვა;
- აკადემიური თავისუფლების დაცვა;
- უნივერსიტეტის სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მობილობის წახალისება.
- მაღალკვალიფიციური, თავისი მოღვაწეობის სფეროში ლიდერობაზე ორიენტირებული ახალგაზრდა სპეციალისტებს მომზადება.
- ინოვაციური მიდგომებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენების საფუძველზე სასწავლო პროცესის სრულყოფა.
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაზლიერება;
- სტუდენტთა შემოქმედებითი უნარების გამოვლენის მიზნით, კულტურული ღონისძიებების ჩატარება.

დასახული სტრატეგიული მიზნების განხორციელების მიზნით 2013-2017 წლებში დაგეგმილი ღონისძიებები:

სასწავლო პროცესი:

- საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის განახლება და სრულყოფა;

- საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის კონტროლი;
- ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება დამსაქმებლებთან თანამშრომლობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით;
- თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და განხორციელება;
- ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების განვითარება და სრულყოფა;
- სტუდენტთა მობილობის უზრუნველყოფა, მათი ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინება; გაცვლითი პროგრამების განხორციელება;
- ძირითადი (major) დადამატებითი (minor) სპეციალობების, აგრეთვე არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების მრავალგვარი კომბინაციის შესაძლებლობა, რაც კურსდამთავრებულს უფრო კონკურენტუნარიანს გახდის შრომის ბაზარზე;
- უცხოენოვანი კურსებისა და პროგრამების შემუშავება;
- უცხოელი სტუდენტებისათვის ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების მომზადება, რაც გაცვლითი პროგრამებისა და უცხოურ უნივერსიტეტებთან ურთიერთობის გააქტიურების წინაპირობა იქნება;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება და განახლება ახალი სახელმძღვანელოებითა და თანამედროვე სამეცნიერო გამოცემებით;
- სასწავლო გეგმებში ელექტრონული რესურსების გამოყენება, თანამედროვე ტექნოლოგიების ჩართვა; სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა ელექტრონული სასწავლო კურსებითა და მასალებით;
- უცხოენოვანი სახელმძღვანელოების ქართულად თარგმნის პროგრამის მხარდაჭერა, ორიგინალური ქართული სახელმძღვანელოების მომზადება და გამოცემა;
- ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება და რაციონალური გამოყენება; კომპიუტერული ტექნიკის მუდმივი განახლება,

საგანმანათლებლო და საკომუნიკაციო ინტერნეტ-ტექნოლოგიების ინტენსიური დანერგვა;

- ფაკულტეტის პოპულარიზაცია. სარეკლამო-საინფორმაციო ბუკლეტების მომზადება, ღია კარის დღეების სისტემატურად ჩატარება და აბიტურიენტთა მოზიდვა;
- სასწავლო პროცესის სისტემატური მონიტორინგი;

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა:

- არსებული სამეცნიერო პოტენციალის საფუძველზე, კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და დაზუსტება;
- პრიორიტეტული მიმართულებებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვა და კვლევისათვის შესაფერისი პირობების შექმნა;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებების სპექტრის გასაფართოებლად;
- საგრანტო კვლევითი პროექტების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მათ თანადაფინანსებაზე ზრუნვა;
- მეცნიერების ინტერნაციონალიზაციისათვის ხელისშეწყობა;
- ცნობილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
- მონაწილეობა სამეცნიერო პროგრამებისა და პროექტების კონკურსებში როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო მასშტაბებით;
- საერთაშორისო და ადგილობრივი სამეცნიერო სიმპოზიუმების, კონფერენციების, სემინარების ორგანიზება.

ადმინისტრაციის სტრუქტურა-მენეჯმენტი:

- მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ „უნივერსიტეტის შიდა ავტონომიურობა გულისხმობს მისი ისეთი სტრუქტურის არსებობას,

რომელიც პროფესორთა კორპუსისა და სტუდენტთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების გონივრულ, თავისუფალ და სამართლიან შესრულებას უზრუნველყოფს. პროფესორთა კორპუსი და სტუდენტები არ უნდა განიცდიდნენ არავითარ წნეხს შიდა საუნივერსიტეტო სტრუქტურების მხრიდან; არ უნდა ექცეოდნენ ცალკეული აკადემიური თუ ადმინისტრაციული თანამდებობის პირების თვითნებური გადაწყვეტილებებისა და ქმედებების გავლენის ქვეშ („დეკლარაცია“).

- ფაკულტეტის ადმინისტრაციის მუშაობის ეფექტურობის ზრდა;
- თანამშრომელთა ფუნქციების, უფლებამოსილებების, პასუხისმგებლობების მკვეთრი გამიჯვნა, მათი საქმიანობის ეფექტურობის მიზნით.
- ფაკულტეტის აქტიური მონაწილეობა ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაში.
- მმართველობაში დემოკრატიული პრინციპების გაძლიერება.
- ყველა თანამშრომლის შრომითი, პროფესიული და ადამიანური უფლებების პატივისცემა და დაცვა;
- ფაკულტეტის საბჭოს ეფექტური მუშაობა.
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების ფართო გამოყენება ადმინისტრაციის საქმიანობაში, როგორც სტუდენტების კონსულტაციების თვალსაზრისით, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობის გამჭვირვალებისა და მოქნილობის უზრუნველსაყოფად.
- კეთილგანწყობილი გარემოსშექმნა;
- საზოგადოებასთან ურთიერთობის გააქტიურება.
- კურდამთავრებულებთან ურთიერთობა, მონაცემთა ბაზის შექმნა, მუდმივი განახლება.

წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებული საკითხების რეალიზება, საბოლოო ჯამში, ხელს შეუწყობს ფაკულტეტის იმ ძირითადი მიზნის მიღწევას, რაც სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელება და, ამის

საფუძველზე, მომავალი თაობის კონკურენტუნარიან სპეციალისტად და ღირსეულ მოქალაქედ ჩამოყალიბებას გულისხმობს.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს აქვს შესაბამისი აკადემიური პოტენციალი და რესურსები, რომ წარმატებით განახორციელოს წინამდებარე სტრატეგიული გეგმით დასახული მიზნები.

ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მარინე გიორგაძე